დიდება საბჭოთა საქართველოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით—წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე მიესალმებიან ქალაქ თბილისის მშრომელებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი. № 108 (12022) | პარასკევი, 12 მაისი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი თბილისში

გულთბილი შეხვედრები

ამ საზეიმო დღეს საქართველოს მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან ძვირფას სტუმარს—ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

სასიხარულო, აღმაფრთოვანებელი დღესასწაულია ძველ ქართულ მიწაზე. ქართველი ხალხი — ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს მომძე ხალხთა დიდი ოჯახის ღირსეული წევრი — აღნიშნავს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ღირსშესანიშნავ თარიღს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მე-40 წლისთავს. რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი სიამაყისა და სიხარულის გრძნობით აჯამებენ თავიანთი ეროვნული აღორძინებისათვის, მრავალტანჯული სამშობლოს განახლებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის ორმოცი წლის ბრძოლისა და შრომის შედეგებს.

თითქოს თვით ბუნებაც შეჰხარის დიად დღესასწაულს. ზეიმობს გაზაფხული, წარმტაცად აყვავებულან ხეები და ბუჩქები. ყვავილთა ფერადფერად ხალიჩებს დაუმშვენებია ქუჩებისა და პროსპექტების გაზონები, საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების აივნები.

აყვავებული ბუნების ფონზე განსაკუთრებით ლამაზად გამოიყურება საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული თბილისი. საქართველოს 1500 წლის დედაქალაქი თითქოს გაახალგაზრდავებულა. ქუჩებში, საცხოვრებელი სახლების, საზოგადოებრივი შენობების ფანჯრებში და აივნებზე, ქარხნების კორპუსებზე, ახალშენობათა ხარაჩოებზე ალისფერი დროშები, პლაკატები. ყვავილთა გირლანდები.

დიდი დღესასწაულის სუნთქვა ერთნაირი ძალით იგრძნობა ქალაქის ყველა კუთხეში— ცენტრალურ კვარტალებსა და შორეულ გარეუბნებში. საზეიმოდ არის მორთული ლენინის სახელობის მოედანი, სადაც აღმართულია საბჭოთა ხალხის გენიალური ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე **ლენინის** ძეგლი. საქალაქო საბჭოს შენობის ფასადზე გაკრულია წითელი ქსოვილი, რომელზეც უზარმაზარი ასოებით წარწერილია სტრიქონები: ისტორიული დეპეშისა:

„მოსკოვი
ლენინს
სტალინს
თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!
ორჯონიკიძე“.

მაღალ ფლაგშტოკებზე ფრიალებენ სსრ კავშირის, საქართველოს სს რესპუბლიკის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები. ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილია მრავალი ტრანსპარანტის ტექსტები. ჯეროვან პატივს მიაგებენ რა იმათ, ვინც თავისი გულის მგზნებარეობა, ცოდნა და ძალღონე მოახმარა ამ მეგობრობის საქმეს, ხალხთა ურღვევი კავშირის შექმნის საქმეს, თბილისელებმა შენობებზე გამოჰკიდეს უკვდავი ლენინის, მისი თანამებრძოლების ი. ბ. სტალინის, მ. ი. კალინინის, გ. კ. ორჯონიკიძის, ს. მ. კიროვის პორტრეტები.

ქუჩებისა და მოედნების გასწვრივ გაჭიმულ ქსოვილებზე წარწერილია მხურვალე, ყველა საბჭოთა ადამიანის გულისათვის მახლობელი სიტყვები: „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ ლენინურ მეგობრობას!“, „გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშვიდობას!“, „საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავის დღეს მხურვალედ მივესალმებით სსრ კავშირის ხალხთა უფროს ძმას — დიდ რუს ხალხს!“ — წარწერილია ერთ-ერთ ტრანსპარანტზე.

ჯერ კიდევ წინადღეს მთელ ქალაქს მოედო აღმაფრთოვანებელი ცნობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **ნ. ს. ხრუშჩოვი** ჩვენთან, თბილისში ჩამოდისო. საბჭოთა მთავრობის მეთაურის მონაწილეობამ ქართველი ხალხის ზეიმში კიდევ უფრო სასიხარულო გახადა ეს დღესასწაული. ყველას გული გაახარა ცნობამ, რომ ჩამოვიდოდა ერთგული ლენინელი, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის დიდი მებრძოლი, ქართველი ხალხის დიდი და გულწრფელი მეგობარი. ზეიმობს ყოველი სახლი, ყოველი ოჯახი.

უდიდეს პატივს სცემენ რა ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვს, რომელმაც საყოველთაო-სახალხო სიყვარული მოიხვეჭა თავისი მჩქეფარე ენერგიით, იმ მხურვალე მისწრაფებით, რომ რაც შეიძლება მეტი გააკეთოს ხალხისათვის, უზრუნველყოს მშვიდობა დედამიწაზე, — ასეულ ათასობით თბილისელი გამოვიდა ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე. დამხვდურთ ხელთ უჭირავთ ალმები და ყვავილები, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, ტრანსპარანტები, რომლებზეც წარწერილია სტუმართმოყვარე ქართველი ხალხის გულიდან მომდინარე სიტყვები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ!“, „ხრუშჩოვი მშვიდობაა!“.

11 მაისს დილიდანვე თბილისის ვაგზალში თავი მოიყარეს მშრომელთა კოლექტივების, პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ათასობით წარმომადგენელმა, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, ძველმა ბოლშევიკებმა, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატებმა, საბჭოთა არმიის ოფიცრებმა და გენერლებმა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის შესახვედრად მოვიდნენ: **ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, კ. ნ. გალიცკი, ა. ი. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, გ. ა. გეგეშიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, ი. გ. რთველიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე,** საქართველოს სსრ მინისტრები, რესპუბლიკურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკები, პრესის წარმომადგენლები.

ძვირფას სტუმარს შეხვდნენ ზეიმზე ჩამოსულ მომძე რესპუბლიკების დელეგაციათა ხელმძღვანელები: რუსეთის ფედერაციისა— სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ი. ვორონოვი,** უკრაინის სს რესპუბლიკისა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. ვ. პოდგორნი,** ბელორუსიის სს რესპუბლიკისა — ბელორუსიის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **პ. მ. მაშეროვი,** უზბეკეთის სს რესპუბლიკისა — უზბეკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **შ. რ. რაშიდოვი,** ყაზახეთის სს რესპუბლიკისა — ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ი. შ. შარიპოვი,** აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა — აზერბაიჯანის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ი. ახუნდოვი,** ლატვიის სს რესპუბლიკისა — ლატვიის კპ რიგის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ა. აზანი,** ტაჯიკეთის სს რესპუბლიკისა — ტაჯიკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **დ. რ. რახულოვი,** სომხეთის სს რესპუბლიკისა — სომხეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ნ. ზარობიანი,** თურქმენეთის სს რესპუბლიკისა — თურქმენეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. ა. ოვეზოვი,** ესტონეთის სს რესპუბლიკისა — ესტონეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ი. გ. კებინი,** დაღესტნის ასს რესპუბლიკისა — სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ა. დ. დანიალოვი,** ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკისა — სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. მ. აგკაცევი,** ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკისა — ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ი. ა. ალმაზოვი,** ყაბარდო-ბალყარეთის ასს რესპუბლიკისა — ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. ახოხოვი,** საბჭოთა კავშირის მარშალი **ი. ქ. ბაგრამიანი** და სხვები.

დღის 11 საათზე სპეციალური მატარებელი ბაქანს მოადგა. წამით ჩამოვარდა სიწყნარე, რომელიც აღტაცების გუგუნმა შეცვალა, როცა ვაგონის კარებში გამოჩნდა მოღიმარე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. იგი ხელის ქნევით იძლევა სალამს. გაისმა მქუხარე ტაში. შეძახილები „ვაშა!“, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

მოგილოცავთ დიად დღესასწაულს, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო!

იხარე მარად!

მზეო, მუდამ გვიყვარდი და გვამღერებდი ჩვენი მამულის ნათელო მზეო, მუდამ გეტრფოდით და გადიდებდით, დიდებულო მზეო, მაგრამ დღემდე არასდეს არ გვიგვრძვნია შენი სხივების ელვარება ისე, როგორც ახლა, როცა ბედნიერ დავუკაცებას, თავისუფლებას მეორმოცე გაზაფხულს ზეიმობს ჩვენი აყვავებული რესპუბლიკა — საბჭოთა საქართველო.

იბრწყინე, უფრო იბრწყინე, მზეო მაღალო, უფრო ცხოველად ეკაშკაშეცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტ ქვეყანას, სადაც დღეს, 12 მაისს, დიდ ეროვნულ დღესასწაულს იზდის გმირულ ბრძოლასა და შრომაში გამარჯვებული, მრავალ ჭირვარამ გამოვლილი, ახალ დიდების მწვერვალზე ასული ქართველი ხალხი.

სისხლით და ცრემლით, ხმლითა და გუთნით წერდა ჩვენი უძველესი ერი თავისი ისტორიის ნაღვლიან, გულსატკენ ფურცლებს წარსულში. დუმან ყამთა სიავის მოწმე ნანგრევნი და ხავსიანი ლოდებით გვაცნობენ, როგორ თელავდნენ ქართული ეროვნული კულტურის საუნჯეებს მოსეული ბარბაროსები. კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ამირანის დახსნას ნატრობდა ქართველი ხალხი, და ეს ნატვრაც აუხდა ამ ორმოცი წლის წინათ, როცა საქართველოზე აფრიალდა დიდი ოქტომბრის ალისფერი დროშა. ერთად დაიბადნენ საბჭოთა საქართველო და მისი დიდების სულისჩამდგმელი — საქართველოს კომუნისტური პარტია. იგი ურყევად, მტკიცედ მიდიოდა და მიდის წინ დიდი ლენინის ნაჩვენები გზით, რომელმაც ესოდენ დიდი წარმატებები, უმაგალითო აყვავება მოუტანა გათავისუფლებული ამირანის ქვეყანას — ახალ საქართველოს სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარების ყველა დარგში.

რომელი ერთი მოვიგონოთ ამ მართლა ზღაპრული ზრდისა და აყვავების წლების მანძილზე! ზაპესიდან აჩახჩახებულ პირველ შუქს მოჰყვა ჩვენი მზიური რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაცია, უკაცრიელ ადგილებზე გაჩნდა ახალი სამრეწველო ცენტრები, ქალაქები, ახალშენებანი, შეიქმნა ახალი მაღაროები, შახტები. ლიანდაგებზე დაჰქრიან ელმავლები, თბომავლები, ქვეყანა დაიფარა მძლავრი მიდროელსადგურების ქსელით. დიდი ტექნიკური პროგრესის. შემოქმედებითი შრომის, შესანიშნავი გზა განვლო ჩვენმა სამშობლომ ქართული ფოლადისა და ავტომობილის, ათასგვარი სამრეწველო ჩარხების გამოშვებამდე.

გიხაროდეს, რუსთაველის სამშობლო ქვეყანავ, რომ შენი ქარხნებისა და ფაბრიკების უთვალავ ნახელავს ამშვენებს საამაყო მარკა, რომ გამოშვებულია — თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, რუსთავში ან კიდევ მრავალ სხვა ქალაქში, სადაც გულმოდგინე შრომით აშენდა სამრეწველო გიგანტები.

ზღვაურ ელავენ შენი სიმინდის და პურის ყანები, თვალი ვერ ძღებ შენი უმშვენიერესი ზვრების, ნარმტაცი ბალების, ნარინჯოვნებით მოოქროვილი და ჩაის ბუჩქნარებით გადაჭნკანებული მთა-ბარის მზერით, ჩვენო ტკბილო რესპუბლიკავ, ჩვენო ბედნიერო იუბილარო — საბჭოთა საქართველოვ!

ვის არ მოხიბლავს შენი აყვავებული ველ-მინდვრები, კოლხიდის ნაჭობარ მიწაზე მოშარიშურე ციტრუსები, იალღუნებზე გაშლილი ცხვრის ფარები და საქონლის ჯოგები, შენი სოფლების ხელახლა დაბადება, ქოხმახების შეცვლა საუცხოო ოდებით, ეზოების შემკობა ვარდ-ყვავილებით და, რაც მთავარია, ადამიანის ასე გახარება, წელში გამართვა, ცხოვრების ფართო სარბიელზე გამოსვლა, ჩვენო თვალის სინათლევ, ჩვენო ტურფავ მამულო!

უმაგალითოდ აყვავდა ქართული კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება. მარგალიტივით ბრწყინავს საბჭოთა საქართველო მომძე ხალხთა, საყოველთაო ეშვიდობისა და შემოქმედებითი შრომის მოყვარე ხალხთა დიდ ოჯახში — საბჭოთა კავშირში.

ყოველივე ამას ჩვენ უნდა ეუმადლოდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნულ ხელმძღვანელობას, ჩვენი მშობლიური საბჭოთა მთავრობის ზრუნვას, დიდი რუსი ხალხის ძმურ დახმარებას.

გაზაფხულია, ჩვენი რესპუბლიკის მეორმოცე გაზაფხული. საზეიმოდ მორთულან ქალაქები, სოფლები. ყველგან უჩვეულო სიხარულია. ამ დიდ სახალხო დღესასწაულს განსაკუთრებულ ელფერს აძლევს და საყოველთაო აღტაცებას მატებს ძვირფასი სტუმრის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ჩამოსვლა საქართველოში.

გაშლილან მაისის ვარდები, კიაფობენ ყვავილები და, შენც, ბუნების აყვავებისა და გამოცოცხლების ამ დიდებულ თვეში ზეიმობ ქართველი ხალხის სულიერ და ეკონომიურ აყვავებას, თავისუფლებას, აღორძინებას, ჩვენო მზიურო საქართველოვ! დიდება შენ მარად და მარად!

ნახატი ი. თოიძისა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები ათვალიერებენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი თბილისში

გულთბილი შეხვედრები

(დასასრული)

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი მიესალმა საქართველოს სსრ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, მომმე რესპუბლიკათა წარმომადგენლებს, ყველა დამხვდურს.

ქართველ ჭაბუკთა და ქალიშვილთა ჯგუფმა ხალხური ჩვეულებისამებრ ნიკიტა სერგის-ძეს მიართვა ქართული მიწის ნაყოფი.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვთან მივიდა 100 წლის თბილისელი ვიქტორ ოქროპირის-ძე ყრუაშვილი. ქართული ხალხური „მრავალჟამიერის“ ხმებში მან თქვა:—ჩვენო ძვირფასო სტუმარო. ჩვენი ძველი თბილისი, მთელი საქართველო ზეიმობს დღეს. თქვენ ჩვენი ყველაზე სასურველი, დიდად პატივცემული სტუმარი ბრძანდებით. ბედნიერი იყოს თქვენი მობრძანება. იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ მრავალ, მრავალ წელს!

ნ. ს. ხრუშჩოვმა მხურვალე მადლობა გადაუხადა დარბაისელ მოხუცს, ყველა დამხვდურს და დასცალა ქართული ღვინით სავსე თასი.

ძვირფას სტუმარს გარს შემოეხვია საქართველოს დედაქალაქის ყველაზე ნორჩ მოქალაქეთა მხიარული გუნდი — პიონერები. ისინი ძლივს მოჩანან ფუარამაზარ, თვალწარმტაც ყვავილთა თაიგულებში. ნიკიტა სერგის-ძემ გულითადი მადლობა გადაუხადა ბავშვებს, გადაეხვია და მამობრივად გადაკოცნა ისინი.

როცა ნიკიტა სერგის-ძე მიუახლოვდა ვაგზლის უზარმაზარ მოსაცდელ დარბაზში შეკრებილ მშრომელთა წარმომადგენლებს, გაისმა მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში, შეძახილები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პატივსაცემად, ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად, რომელმაც გულითადად და მღელვარედ უპასუხა მხურვალე მისალმებებზე.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ღია ავტომანქანაში ჩაჯდა. მასთან ჩასხდნენ ვ. პ. მეჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი და გ. ს. ძოწენიძე.

ავტომანქანების კორტეჟი ცოტა ხანს შეჩერდა ვაგზლის მოედანზე, სადაც შეკრებილი იყო ათასობით მოზეიმე ადამიანი, შემდეგ კი გაემართა ქალაქში, რომლის ქუჩები და მოედნები გაჭედილია ხალხით. გეგონებათ, საქართველოს ჭაღარა დედაქალაქის მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ასეთი ხალხმრავლობა ქალაქის მაგისტრალებზე არასოდეს ყოფილა, როგორც ახლა, ამ სასიხარულო ჟამს. მთელი ქალაქი, ყველა თბილისელი გამოვიდა ძვირფასი სტუმრის შესახვედრად.

ჩელიუსკინელთა, ვარაზისხევის, მელიქიშვილის, ლენინის ქუჩებზე, რუსთაველის პროსპექტზე, პუშკინის, ბარათაშვილის ქუჩებზე, სტალინის სანაპიროზე, საქართველოს სამხედრო გზაზე, პეკინის, პავლოვის ქუჩებზე, რომლებზეც ნ. ს. ხრუშჩოვმა გაიარა, ხალხმა ცოცხალი კორიდორი შექმნა. არათუ ტროტუარები, არამედ აივნები, ფანჯრები და სახლის სახურავებიც ვერ იტევდა ხალხს.

ნიკიტა სერგის-ძე მისდამი ესოდენ კეთილი გრძნობების გამოვლინებისათვის ფეხზე ამდგარი მიესალმება ყველას, გულითადად იღიმება. ამის პასუხია ათასობით გაღიმება, აღფრთოვანებული შეძახილები, ჯანმრთელობის, მრავალმხრივ და ნაყოფიერ პარტიულ და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ახალ წარმატებათა მოპოვების სურვილები.

ხარობს ხალხი. ასეთი სიხარული შეუძლიათ მხოლოდ ბედნიერებით აღსავსე ადამიანებს, რომლებიც ამაყობენ თავიანთი ხალხით, თავიანთი საბჭოთა ქვეყნით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვთან შეხვედრა გადაიქცა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო ქართველი ხალხის შეკავშირებისა და დარაზმულობის ამაღელვებელ მანიფესტაციად საბჭოთა საქართველოს მშრომელთა იმისათვის მზადყოფნის დემონსტრაციად, რომ მთელი თავიანთი ძალღონე მოახმარონ გაცისკროვნებული მომავლის — კომუნიზმის მშენებლობას. (საქდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოვიდა, 11 მაისს დაათვალიერა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს ახლდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მეჟავანაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. ს. ძოწენიძე და საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები. ამავე დროს გამოფენა დაათვალიერეს მოძმე რესპუბლიკების დელეგაციათა მეთაურებმა და წევრებმა.

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა მკაფიოდ ასახავს საქართველოს მშრომელთა წარმატებებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. წარმოების მუშაკებმა, მშენებლებმა, სპეციალისტებმა, არქიტექტორებმა, მხატვრებმა, მეცნიერებმა მოაწყეს გამოფენის დიდი ქალაქი, სადაც არის 13 პავილიონი, მრავალი მოედანი მანქანებისა და მოწყობილობის ექსპოზიციისათვის, ფართოეკრანიანი კინოთეატრი. ათასობით ექსპონატი-დიაგრამები და ფოტოპანოები, სურათები, ნახატები, მოდელები უჩვენებენ ქართველი ხალხის, მისი სახელოვანი მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის, ნიჭიერი მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეების თავდადებული შრომის მშვენიერ ნაყოფს.

ნიკიტა სერგის-ძე შეჩერდა გამოფენის მთავარ შესასვლელთან, სადაც აღმართულია რკინაბეტონის ობელისკი 17-მეტრიანი ისრის სახით. მას აგვირგვინებს კოსმოსში მფრინავი ადამიანის სკულპტურული ფიგურა. ისრის ორივე მხარეს გამოჩენილი რუსი მეცნიერის კ. ციოლკოვსკისა და მსოფლიოში პირველი საბჭოთა კოსმონავტი მფრინავის, საბჭოთა კავშირის გმირის იური გაგარინის ბარელიეფები.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა გამოფენის მთავარი პავილიონი. მისი ექსპონატები მოგვითხრობენ, თუ როგორ გადაიქცა ჩამორჩენილი აგრარული საქართველო აყვავებულ ინდუსტრიულ რესპუბლიკად. რევოლუციამდე საქართველოში იყო მხოლოდ შინამრეწველური წარმოება. ახლა 1660-ზე მეტი დიდი საწარმოა. 1961 წლის 1 იანვრისათვის საერთო პროდუქციის მოცულობა 1913 წელთან შედარებით 40-ჯერ და მეტად გადიდდა, აქედან მძიმე მრეწველობისა — 112-ჯერ.

ნ. ს. ხრუშჩოვი დაინტერესდა მანქანათსაშენებლო, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსაშენებლო, ქიმიური მრეწველობის პროდუქციის ნიმუშებით. მან უურადღება მიაქცია თბილისის ავტომატიზაციის ხელსაწყოთა და საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივის მიერ შექმნილ ბოვებში სხმის პროცესების ავტომატიზაციის მანქანას და ენერგეტიკული რეჟიმების საანგარიშო მანქანას, რომლის დახმარებითაც მიღწეულია ნაკადთა სწორი განაწილება გადაცემათა ხაზებში, მცირდება უნაყოფო დანაკარგები ელექტროენერგიის გადაცემის დროს. შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვს უჩვენეს ელექტროტექნიკური მრეწველობის მთელი რიგი ტექნიკური სიახლენი.

ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა ქართველ მეცნიერთა ჯგუფს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ნ. ი. მუსხელიშვილის მეთაურობით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორმა ვ. ვ. ჭავჭანიძემ უამბო ჩვენს ქვეყანაში ასეთი ტიპის ამ ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულების მუშაობის შესახებ.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გაეცნო პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის ნამუშევრებს და მოუწოდა მეცნიერებს გააძლიერონ მუშაობა ახალი სინთეზური მასალების შესაქმნელად.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა დაათვალიერა წარმოების ავტომატიზაციისათვის განკუთვნილი მანქანები და მექანიზმები. მას მუშაობის პროცესში უჩვენეს პროგრამული მართვის სახარატო ჩარხი, რომელიც ავტომატურად, ადამიანის ჩაურევლად ასრულებს დეტალების დამუშავების ყველა პროცესს. იგი შექმნეს მეცნიერებმა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მუშაკებთან თანამშრომლობით. ნიკიტა სერგის-ძის ქება დაიმსახურეს ქართველმა ავტომობილშენებლებმა. მას განსაკუთრებით მოეწონა სატვირთო ავტომანქანა „კოლხიდა“, რომელსაც შეუძლია 7 ტონა ტვირთის გადატანა.

—ეს ძალიან კარგი მანქანაა, — შენიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დათვალიერებისას, ნ. ს. ხრუშჩოვმა კონსტრუქტორთა და ინჟინერთა მთავარი ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა დაჩქარდეს სამუშაოები სამთო მიწათმოქმედების, ვენახებისა და ბაღების, მანქანებისა და მექანიზმების შესაქმნელად. მან გამოთქვა აგრეთვე სურვილი, რომ შემდგომში გაუმჯობესდეს ჩაის საკრეფი მანქანები, რომელთა პირველი ნიმუშები ქართველმა სპეციალისტებმა შექმნეს და უკვე იყენებენ საქართველოს ჩაის პლანტაციებში.

ქალაქმშენებლობის პავილიონში ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოჰკითხა სპეციალისტებს მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების გამოყენების, საშენ მასალათა მრეწველობის განვითარების შესახებ. მან ურჩია უფრო გაბედულად დანერგონ ახალი პროგრესული მეთოდები, მუდამ იბრძოლონ მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ღირებულების შემცირებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა აგრეთვე კვების, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის პავილიონები.

გამოფენის შესასვლელთან და მთელ გზაზე ათასობით თბილისელი მხურვალედ და გულითადად მიესალმებოდა ნ. ს. ხრუშჩოვს. (საქდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვი დაესწრო სპექტაკლ „დემონს“

11 მაისს საღამოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში დაესწრო კომპოზიტორ სულხან ცინცაძის ბალეტ „დემონს“. ეს ბალეტი, რომელიც დადგა და რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატი ვახტანგ ჭაბუკიანი, თეატრის კოლექტივმა მიუძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს.

დამსწრენი ფეხზე ამდგარნი, მჭუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დარბაზში შემოსულ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, მოძმე რესპუბლიკების დელეგაციათა წევრებს, რომლებიც ჩამოვიდნენ საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

სპექტაკლზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოსული მრავალრიცხოვანი სტუმრები.

სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ყველა მაყურებელთან ერთად დიდხანს უკრავდა ტაშს ქართული ბალეტის ნიჭიერ ოსტატებს. (საქდესი).

მივულოცოთ!

ვის ვუთხრათ პირველი მისალოცი სიტყვა, ვის ან რას მივულოცოთ პირველად ეს საზეიმო მაისის დილა?

ზაპეს, ჩვენს ზაპეს!

იგი ხომ პირველი დიდი გამამხნევებელი, ზეიმწევი გამარჯვება იყო ჩვენი ხალხისა, ახალი საქართველოს მშენებელი ხალხისა. მან, ჩვენმა ხალხმა, თითქოს ამ ელსადგურის შუქით მოინდომა განეგვრიტა თავისი დიდი გზა მომავლისა. მან, ჩვენმა ხალხმა, სიმბოლიურად აქედან დაიწყო, აქ, ძველ მცხეთასთან, მცხეთის ძველ ჯვართან ჩაყარა პირველი საძირკველი თავისი ახალი ცხოვრებისა.

დღესაც სიამოვნებით ვუჩვენებთ ხოლმე ჩვენში სტუმრად ჩამოსულ უცხოელ მეგობრებს ძველი და ახალი საქართველოს ამ მოხდენილ შეხამებას ავჭალის ამ ხელოხგულივით პატარა მიწაზე.

ხომ ბევრნი ვართ ჯერ კიდევ იმ დღეების მომსწრენი. ხომ გაგონდებათ, რა დიდი იყო ენთუზიაზმი მთელ საქართველოში ზაპესის მშენებლობის წლებში და მერე რა დიდი იყო აღტაცება ქალაქში ზაპესის პირველი შუქის გამოჩენისას.

„თბილისის ღამეს ზიზი სწვევია: ამბავი მოაქვს მტკვარს უცნაური, ავჭალას ცეცხლი შემოსვევია ანთებულ რკინის ისმის ხმაური“.

„ამბავი მოაქვს მტკვარს უცნაური“

— როგორ უთქმელად მოგაგონებთ პოეტის ეს სტრიქონები ჩვენს დრამატიზმით აღსავსე წარსულს: მცხეთასთან თუ ტაშისკართან ბრძოლაში დაცემული ვაუკაცების სისხლით შეღებილი მტკვარის თავზარდამცემ ტალღებს თბილისში. ახლა მტკვარმა თბილისს უფრო უცნაური, ჯერ გაუგონარი ამბავი მოუტანა. რამდენი ოდა დაიწერა მაშინ ზაპესზე. რამდენი ცეცხლოვანი სიტყვა, რამდენი სიმღერა, — პირველი რომანტიკული სხივი იყო, პირველი გატაცება, პირველი პატრიოტული სიმღერა ახალი სამშობლოსადმი. ახლა ენგურზე მგონი ათჯერ მეტი სიმძლავრის ელსადგური შენდება მაგრამ რა, იგი დღეს თითქოსდა ჩვეულებრივი ამბავია: თვალი, ყური და გონება ისეა შეჩვეული, თითქოს ეს ყველაფერი დასაბამიდან ასე ხდებოდა და ასეც უნდა ხდებოდეს.

ვის ვუთხრათ კიდევ პირველი მისალოცი სიტყვა, ვის ან რას მივულოცოთ პირველად ეს საზეიმო მაისის დილა, ეს დღესასწაული?

რიონჰესს!

იგი ხომ ლიხსიქითური, დასავლეთ საქართველოს პირველი ფალავანთაგანია. ნაკლებად რომანტიკული იყო რიონჰესის მშენებლობა? მთელი დასავლეთი საქართველო შემოკრბა მაშინ რიონის ხეობაში გელათთან. დაეშვნენ სვანეთიდან, რაჭიდან, ლეჩხუმიდან, არგვეთიდან. ინჟინერებთან, ტექნიკოსებთან, მშენებელი მუშებით გაივსო ძველი ქუთაისი. მანქანებით აგუგუნდა ჯერ კიდევ კეთილმოუწყობელი გზები. რიონჰესმა გააღვიძა მთელი რიონის ხეობა. აღმოსავლეთში, მტკვრის ხეობაში ზაპესმა და დასავლეთში, რიონის ხეობაში — რიონჰესმა, მათმა ელექტროენერგიამ ააადუღა მთელი საქართველო. ააადუღა და შეადუღა კიდეც. ამიერიდან იგი მართლაც არა თბილისს და ქუთაისის გუბერნიებია, არამედ მთლიანი საქართველოა, თანამედროვე ერი, სოციალისტური ქვეყანა. აქაც ძველ გელათთან ჩაყარა ჩვენმა ხალხმა

ირაკლი აბაშიძე.

სიმბოლიურად საფუძველი თავისი, ახალი ქვეყნისა...

ამ ორი ელსადგურით, დასავლეთში და აღმოსავლეთში, გაახილა ახალმა საქართველომ თავისი ორი თვალი.

ჯერ კიდევ ხომ ბევრნი ვართ იმ დღეების მომსწრენი. ხომ გაგონდებათ, რა დიდი იყო სიხარული და გატაცება მთელ საქართველოში რიონჰესის მშენებლობის წლებში?

ამ ელსადგურთა სამშენებლო სამუშაოებზე იმ წლებში გამოიწრთო ქართველ სპეციალისტთა შესანიშნავი კადრები, რომელთაც დღეს საბჭოთა კავშირის შორეულ კუთხეებში უდიდესი ელსადგურების საფუძვლის ჩაყრისას იწვევენ ხოლმე.

რიონჰესის სინათლეზე გამოჩნდა კოლხიდის ველების დიდებული სურათი.

ვის მივულოცოთ, ვის ან რას ვუთხრათ კიდევ პირველი მისალოცი სიტყვა?

კოლხიდას, ახალ კოლხიდას!

გაუვალი ჭაობების, ხაშმის, გაუვალი ძეძვებისა და ეკალბარდის ადგილას ნარინჯების გაუვალ ტევრებს, ჩაის უსაზღვრო პლანტაციებს, ბაღ-ვენახებს, კოლხიდის ახალ ბინადრებს, ახალ კოლხებს.

ეს კოლხიდა ხომ ბერძნული ლეგენდების კოლხიდა არ იყო. იმ ლეგენდების კოლხიდა მთელი დასავლეთი საქართველოა, აიეტის სამეფო. ამ კოლხიდას სალეგენდო ანა ანა ჰქონდა, ანოფელესის სამეფოს, აიეტ-ცხელებიან უსიამო მიწას, უდაბნოსა და უსიერს. ახალმა კოლხებმა აქციეს ეს მიწა ბაღნარად და უხსოვარი საუკუნეების შემდეგ საბოლოოდ შეუერთეს იგი მთელი კოლხიდის სამოთხეს. ახლანდელი სტუმარი ვერც კი წარმოიდგენს, რომ ლეგენდარული იასონი პირველ ყოველისა ამ ხილამაზის მშვენებით არა ტკბებოდა, როცა „არგონადან“ ხმელეთზე გადმოდგა ფეხი.

რა დიდი იყო გატაცება კოლხიდის ჭაობების ამოშრობისას მთელ საქართველოში. კაპარჭინის ლაქაშებში შეეჭრნენ მანქანები, ხარებივითა აღმოვლდნენ მოტორები პალიასტომთან, ყორათთან, მალთაყვასთან... სწრაფი არხები, კოლმატაცია, რიონის გადაგდება... ახალი გზატკეცილები, ავტოსტრადები, ცისფერი ხიდები...

რამდენი მშვენიერი სიმღერა, მშვენიერი სტრიქონი, ცეცხლოვანი სიტყვა დაიწერა კოლხიდის მშენებლობაზე, ახალ კოლხიდაზე. ნამდვილად იყო ამის ღირსი ეს მშვენიერი ეპოპეა, ღირსი პოეტის სიტყვებისა:

„მოვდიოვართ შენთან, მოვდიოვართ ნატვრით,
რაც გულში დამაქვს დიდი ხანია,
და სიყვარული მელვარე
მხატვრის
შენს მიწა-წყალზე მოგიტანია.
რა საბირო ხშირად გიხსენო
ბედი, შავბედი გარდასულ დღეთა
როცა, ლამაზო, დარბაისელო,
ასე მორჩილილ და ნათელ
გხედავ“.

ვის ვუთხრათ კიდევ მილოცვის პირველი სიტყვა, ვის მივულოცოთ, რას მივულოცოთ პირველად დღევანდელი მაისის დილა?

ჩვენს სამგორს...

არა მზით, არამედ მტრის ცეცხლითა და მახვილით გადამწვარ მიწას, საუკუნეებით ნაყოფით სავსეს და საუკუნეებით უნაყოფოს. მის გაცოცხლებას ხომ ყველანი შევეხეთ, დიდიცა და პატარაც, ყველანი, ვინც დღეს ჩვენი ქვეყნის ჰაერით ვსუნთქავთ. ამ ხელმეორედ დაბადებას ნამდვილად ეკუთვნოდა მგოსნის სიტყვები:

„დღეს იორის მჩქეფარ ზვირთზე
ჩემი ქვეყნის ღიმილს ვხედავ!
დღეს ტრიალ ველზე
ფილამ ვარდი დამახვედრა!
მთელი ჩემი ლეკნის ძალა,
ჩემი გულის ღაღადება,
ჩემს სამშობლოს!
საქართველოს
ხელმეორედ დაბადებას!“

კიდევ ვის მივულოცოთ, ვის ვუთხრათ პირველი მისალოცი?

ჩვენს რუსთავს!..

ახალი საქართველოს სიამაყეს. ნამდვილი ქართული მეტალურგიის, ქართული ფოლადის დედა-სამშობლოს! თითქოს ჩვენი დიდებული ახალი ტრადიციის მიხედვით რუსთავიც ფოლადის ახალი ქალაქიც სარკინე ქალაქის ნანგრევებზე უნდა აღმართულიყო, მცხეთის ზემოთ, მტკვრის ხეობაში და არა ბოსტანქალაქის მიწაზე, მაგრამ ახალი დიდი ქართული ინდუსტრიის ცენტრი შიო მღვიმის მთების ძირში, როგორც უნდა გვდამებოდა, იმ პატარა პლატოზე ვერ მოთავსდებოდა. კარგად შეეფერება რუსთავს პოეტის სიტყვები:

„ბრწყინავს რუსთავის გაშლილი
ველი
მთები გარშემო აღმართულია
და როგორც ზვარი, მიდამო
ვრცელი
ხარაჩოებით დაჯალართულია“.

საქართველოს სხენებაზე ჩვენი დიდი ქვეყნის ბევრ შორეულ კუთხეში და უცხო მხარეში ხშირად ბევრი ენაზე მოაგონდებათ ხოლმე ლიმონი და მანდარინი, ვაშლი და ფორთოხალი, „ქართული ჩაი“ და „ქახური ღვინო“. კარგია, მოაგონდეთ, ამითაც ვართ მდიდარნი. მაგრამ დღეს ჩვენი ლამაზი სამშობლო ხომ ის ქვეყანაა, სადაც მზადდება მძლავრი ელექტრომავლები, ის ქვეყანაა, სადაც იწრთობა რუსთავის ფოლადი და ნაგლინი, ის ქვეყანაა, საიდანაც მთელი ჩვენი დიდი ქვეყნის თვალუწვდენელ გზებზე მიჰქრიან ქუთაითური ავტომანქანები, საიდანაც შორეულ, უცხო მხარეებში განუწყვეტლივ იგზავნება მძლავრი ჩარხები, სადაც მზადდება მაღალხარისხოვანი ფოლადისათვის აუცილებელი ფერროშენადნობი, სადაც საბჭოთა კავშირის ერთ პირველთაგან რუსპუბლიკაში დაიდგა ატომური რეაქტორი, სადაც დგანან და ურთულეს ამოცანებზე მუშაობენ. ყოველგვარ საოცრებაზე უფრო საოცარი კიბერნეტიკული მანქანები...

მოიგონებ ყოველივე ამას, ჩამოთვლი მათ შენს ფიქრებში და დაგებადება სურვილი გაიმეორო პოეტის სიტყვები:

„რევოლუციონერ საქართველოს
ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს,
განსაცვიფრებელს, —
რევოლუციონერს, ჯერ არნახულს,
ჯერ არგაგონილს,
ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა
შენებას!“

ქ. თბილისის მშრომელები გულთბილად მიესალმებიან ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

40 კომუნისტი

მე-2 გვერდი, პარასკევი, 12 მაისი, 1961 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც თავდადებული ზრომით ცვლის, ალამაზებს საბჭოთა საქართველოს რუკას...

ფოტომონტაჟი

საბჭოთა ხასიათი

ჯერ პირველი მსოფლიო ომის ვეტერანი მამის გარდაცვალების გამო თვალზე ცრემლი არ შეშრობოდა, რომ ძაძიანი დედა მიაცილებდა მას სამამულო ომის ფრონტისაკენ მიმავალ ეშელონზე.

მთელ მის ბიოგრაფიას განსაზღვრავდა ზოლოდ ოცდაორი გაზაფხული. საუბალო სკოლა, ინსტიტუტი. მის პიროვნებას ადასტურებდა ორად ორი დოკუმენტი — ლენინური კომკავშირის წევრობის ბილეთი და ეს-ეს არის მიღებული არქიტექტორის დიპლომი. პასპორტი ამჯერად შეცვლილი იყო მოქმედ არმიაში მობილიზაციის წითელი ფურცლით.

მაღალი, წერწეტა, ჩამოუყალიბებელი და ძვალმოუმაგრებელი, ლამაზი და მოსიყვარულე, ჭკვიანი თვალებით, კოხტად შეკერეული წაბლისფერი კოკორი ულვაშით, ტალღისებრ ხვეული თმით, ბკეერცხლი და დაუდგრომელი, საამოდ მოუბარი თავაზიანი ჭაბუკი პირველი შეხვედრისთანავე შეგაყვარებდათ თავს. თუ არა სიმაღლე და კოკორი ულვაში, მოგესურვებოდათ თავზე ხელი გადაგესვა თან და ბაშვივით მიალერსებოდთ. მაგრამ საქმე ის იყო, რომ ასეთი სურვილით თვითონ გასწრებდათ და, კაცთმოყვარე, თავად აელენებდა თქვენდამი სიყვარულსა და აღერსის გრძნობებს. ძალზე ადრე ჩათვალა თავი მოზრდილად, და ამის შეგრძნობის შესაბამისად იყო მუდამ მომთხოვნი საკუთარი თავისადმი. ალბად, არასოდეს არ ტოვებდა მას ბუნებისაგან მინიჭებული პოეტური, მეოცნება სული, თუმცა ვერ ბეტყვით, წერდა თუ არა ლექსებს, შესაძლოა, წერდა. მაგრამ არავის უმხელდა. ხატვით კი გატაცებთ ხატავდა. მის ტილოზე არაერთი შთაგონებულად შესრულებული სასახლე, არაერთი ისტორიული ძეგლი ყოფილა აღმართული. ამხანაგები ბევრჯერ მოუხლბლავს ტილოზე მის მიერ ნიპიერად წარმოსახულ ქალაქს, ბაღს, ქუჩებს, არქიტექტურულ ნაგებობებს.

ასეთ ახალ სასახლეთა, ახალ ქალაქთა შენებაზე ოცნებით მიაქროლებდა მას ეშელონი ნგრევის დიდი ველისაკენ — ფრონტისაკენ.

უშენებია კიდეც! ცხრამეტი-ოცი წლის ჭაბუკი, სტუდენტური ზაფხლის ჟამს, სამუშაოთა მწარმოებელი ყოფილა დონბასში, კიევსა და ტულაში საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე. ვაი რომ ჰიტლერულ ურდოებს ბევრი ეს სახლი დაუნგრევიათ.

მოსკოვის მისადგომებიდან პრაღამდე, ლეტენანტიდან მაიორამდე! — ასეთია ამ ახალგაზრდა ქართველი ოფიცრის საბრძოლო გზა. შვიდჯერ ნატყვიარი, სიკვდილს იმდენჯერ გადარჩენილი, რამდენი წუთიც ეცცლის ხაზზე რკინისა და ლითონის ნიაღვრის ქვეშ ყოფილ!

ოცდასამი წლისას ჩაბარეს პირველად სარნენინრო ბატალიონი. ქალაქმშენებლობაზე, არქეოლოგიურ გათხრებსა და ძიებაზე მეოცნება, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისათვის მოწოდებული ახალგაზრდა არქიტექტორი ახლა განსაცდელში მყოფი დედა სამშობლოს საომარ მშენებლობათა ფიცხელ და სადღეღამისო ფრონტულ შრომაში იყო მთელი არსებით ჩაფლული. არა მიწისზედა სართულების, არა არქიტექტურულ ნაგებობათა, არამედ ხიდების, ძელმიწურების, ბლინდაჟების, ტრანშეების, ნაღმიანი წინაღობების, პონტონების ასაგები საომეშაოებისათვის უნდა ეხელმძღვანელნა.

ახლა იგი წყალუხვი დნეპრის მარცხენა ნაპირზე თავისი ბატალიონით ახალი საბრძოლო დავალების შესასრულებლად დღესა და ღამეს ასწორებდა, არ ეპუებოდა ტყვიასა და ჟუჟგუბს, ბომბებსა და ნღმებს, განუწყვეტელ საჰაერო თავდასხმებს, ყოველ წუთს სიკვდილით რომ ემუქრებოდა მეთაურსაც და მის ხელქვეითებსაც.

არასოდეს არ დაავიწყდება ამ დავალების მიღების წუთები. როდესაც იგი ბლინდაჟში გამოიძახეს, თვალი აუბრეწდა. ფრონტის გენერალიტეტს მოეყარა აქ თავი. ბლინდაჟში შესულს პირველად ფრონტის სარდალი ვატუტინი შემოეგება.

—268 საინჟინრო ბატალიონის მეთაური, თქვენი გამოძახებით!..

ამ პატაკზე წამოიმართა ბლინდაჟის ცენტრში მაგიდაზე გაშლილ რუკაზე თავდახრილი გენერალი, რომლის სახე მას პორტრეტებიდან ეცნაურა. ეს იყო ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.

— ხიდია დნეპრზე გასადები. ვადა— ხუთი დღეღამე! — მიმართა ვატუტინმა არა ამ ახალგაზრდა ოფიცერს, არამედ გენერალ კრისანოვს — ფრონტის საინჟინრო ჯარების სარდალს, — მოვიწვიოთ მოსკოვიდან ძალები, თუ?..

— არ არის საჭირო, ამხანაგო სარდალო! — არ დაიცალა კრისანოვმა და მკლავზე ხელი შეავლო გვერდში მდგომ ახალგაზრდა ოფიცერს, — ჩვენ გვყავს ძალები.

—მეც ასე ვიცოდი. კაპიტან ციციშვილს აქვს გამოცდილება.

— ქართველი ხარ? — გაუღიმა კაპიტანს ნიკიტა სერგის-ძემ, — თბილისიდან ხომ არა?..

— გახლავართ, ნიკიტა სერგის-ძეს!— და ენაზე იკბინა, რომ გენერალს მოქალაქეურად მიმართა.

ამოცანა მძიმეა. დნეპრის ფორსირება შეტევის ბედსა წყვეტს. თქვენი ხიდი გამარჯვების ხიდი უნდა იქნეს!..

„გამარჯვების ხიდი!.. შეტევის ბედი“... არ სცილდებოდა გენერალ-ლეიტენანტ ხრუშჩოვის ეს სიტყვები ახალგაზრდა ოფიცერს, როცა იგი ბატალიონის განლაგებაში ბრუნდებოდა.

მარცხენა ნაპირის უკრაინაში მარცხის შემდეგ ციებცხელებით შეპყრობილმა ჰიტლერულმა სარდლობამ იწყო დნეპრისაკენ მთელი ძალების წამოწევა, მარჯვენა ნაპირზე თავდაცვითი ნაგებობების მოწყობა. არა მარტო უხვწყლიანი დნეპრის ფორსირება იყო საძნელო. უნდა გაგვენადგურებინა და გადაგვლახა საციცხლე სიმაგრეები, მთლიანი ტრანშეები შეპრეტებელი სასვლელებით, მავთულღობურები და მავთულხლართები, დანღმული ველები და სატყვიამფრქვევი მოედნები, ძელმიწური საცეცხლე წერტები და წრიული თავდაცვის სიმაგრეები...

დნეპრს გაღმა უმეტესი რუსული ქალაქი — კიევი თვლემდა ნგრევისა და ეცცლის კვამლში და ურჩხულისაგან დახსნას ითხოვდა. კიევი უნდა განთავისუფლებულიყო.

ცას სწვდებოდა ყუმბარებისა და ბომბებისაგან დნეპრიდან აშხეფებული შადრევნები, ქვემეხთა ეცცლის ალი ანათებდა ღამეს და კვამლი ებურა ცასა და მიწას დღისით.

ამ ვითარებაში შეუდგა კაპიტან ციციშვილის ბატალიონი დნეპრზე ხიმინჯებიანი ხიღის აგებას ჩვენი შემტევი ჯარებისა და საომარი ტექნიკის გადასასვლელად. ამ უწყვეტი ეცცლისაგან „თავშესაფარად“ კაპიტანსა და მის მეომრებს ჰქონდათ მხოლოდ ბედი და ხიმინჯები, მხოლოდ ძელები, და ურო-ნაჯახი.

ლროდადრო მას მოსკოვი, გენერალური შტაბი უხმობდა ტელეფონით, რომ ამბავი გაეგო ხიდისა.

მარჯვენა ნაპირამდე ხუთასმეტრიანი ხიდიდან ასორმოცდაათი ხელაღლა შეექმნა ერთ ღამეში აღსადგენი —ჰაერიდან და ხმელეთიდან შეუწყვეტელი დარტყმებით ანგრევდნენ გერმანელები. ბატალიონის პირადი შემადგენლობის ერთი მესამედი მწყობრიდან გამოვიდა დაჭრილთა თუ დაზოცილთა სახით.

მაგრამ... არა მეხუთე, არამედ მეოთხე ღამეს ხიდი არის! ცოცხალი ძალა და ტექნიკა მტრის რისხვად დაიძრა ი. ციციშვილის ბატალიონის აგებულ ხიდზე, კიევის მიმართულებით.

ამ საბრძოლო დავალების ბრწყინვალედ შესრულებისათვის სახელოვან ქართველ ოფიცერს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, ხოლო ბატალიონს „კიევისა“ ეწოდა. მისი თითქმის მთელი პირადი შემადგენლობა დაჯილდოებულ იქნა საბრძოლო ორდენებითა და მედლებით.

განა მარტო ხიდების აგება!..

აი კიდევ საბრძოლო დავალება:

დაზვერვამ ცნობა მოიტანა, ჩვენს ზღუდეს მტრის ასზე მეტი ტანკი მოაწყდა და ღამე შეტევაზე გადმოდისო.

ბატალიონის ნაწილს უნდა დაჭისრებოდა მტრის ტანკების ადგილზევე მოსპობა, ხოლო დარჩენილთათვის ნაღმებით გზის გადაღობვა. დრო არ იცდიდა, ამ დავალებაზე წამსვლელს სიკვდილი ელოდა.

— მისმინე, ბატალიონო! — კაპიტნის დაძახილზე მწყობრი სმენად იქცა. — საბრძოლო დავალებაა. — ბატალიონმა, როგორც ერთმა კაცმა, ასწია თავი. — ნაღმებით აფეთქდეს მტრის ტანკები. — ბატალიონმა მთასავით წინ წამომართა მკერდი მზადყოფნის ნიშნად. — დაღამებას ვერ დაველოდებით. ჩემთან ერთად წასვლის მსურველო... —ბატალიონი თითქოს მთელი თავით ამაღლდაო, შეიმართა განკარგულების მოლოდინში, ერთი ნაბიჯით წინ!

საპასუხოდ ერთი წინ წადგმული ნაბიჯი მიწას მძლავრად დაჰკრა.., მთელმა ბატალიონმა.

ძალუძებული შევიქენი, — იგონებს ციციშვილი, — სიით ამომეძახა ყოველი მეხუთე მეომარი... ღირდა მათთან სიცოცხლეც, ბრძოლაც, და თუ საჭირო იქნებოდა, სიკვდილიც!..

მაგრამ გმირი არ მომკვდარა. დაბრუნდა გამარჯვებული, ნატყვიარი, მაგრამ ჯანგაუტეხელი, კვლავინდებურად მკვირცხლი, დაუდეგარი, თავაზიანი და კაცთმოყვარე, ლამაზი და ახოვანი, მეოცნები და მაძიებელი, მომავლისაკენ არწივის თვალით მზირალი — ირაკლი ციციშვილი, გმირის ვარსკვლავი.

ირაკლი ციციშვილისათვის ყველგან გზა ხსნილი იყო, მაგრამ მისი სული სხვა რამისკენ მიისწრაფოდა, ეს იყო მეცნიერული მუშაობა, საქართველოს ისტორიის, ხუროთმოძღვრების, არქეოლოგიის, არქიტექტურის სამსახურში ყოფნა, და აი იგი აკადემიაში თავისთან სამუშაოდ მიიწვია სასიქადულო მეცნიერმა სიმონ ჯანაშიამ. უდიდესი სიხარულით მიიღო ციციშვილმა ეს მიწვევა, მალე თავის მშობლიურ, აღმზრდელ პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც მიიწვიეს უფროს მასწავლებლად. კითხულობდა იქ არქიტექტურის ისტორიას.

ბატაციებული ძიება. ძველი მემკვიდრეობის შესწავლა. წიგნები... დღედაღამეში ოთხი-ხუთი საათიღა ძილი. შემოქმედებითი, მეცნიერული მიგნებები მოსკოვსა და ლენინგრადში. არქეოლოგიური ექსპედიციები საქართველოს ისტორიულ ადგილებში. გათხრები; ძველი ისტორიული ძეგლების შესწავლა... ჯერ მის ნატყვიარ მაზარას დენთის სუნი კარგად არ გასცლოდა, რომ დემობილიზაციიდან ერთი წლის შემდეგ, 1946 წელს მან ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საქართველოს ანტიკური ციხე-ქალაქები“, და მიიღო არქიტექტორის კანდიდატის სამეცნიერო წოდება. არც აქ დადგა მისი მაძიებელი სული. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად იგი მუშაობს სადოქტორო თემაზე.

აი ამ ერთი წლის წინათ მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „ქართული არქიტექტურის საწყისები“ და მოიხვეჭა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხი. ომის შემდეგ გამოაქვეყნა ორმოცდაათზე მეტი შრომა. ბევრმა მათგანმა მაღალი შეფასება ჰპოვა ჩვენში და საზღვარგარეთ —ამერიკაში, იტალიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში.

ექვსი წელიწადია იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრას განაგებს, მანამდე კი ამავე კათედრის დოცენტი იყო. ასობით ახალგაზრდა სპეციალისტი მოუმზადებია მას შემოქმედებითი შრომის ასპარეზისათვის. მათი მონაწილეობით შენდება და მშვენდება საბჭოთა საქართველოს მრავალი ქალაქი, დედა თბილისი, რომელიც დღითი დღე სახეს იცვლის, იზრდება, და გრანდიოზული ქალაქი ხდება.

მეომარი და მეცნიერი, ომის გმირი და ხუროთმოძღვარი, მეოცნებე და მაძიებელი! — აი ნამდვილი საბჭოთა ხასიათი!

ზღვის ამოლეკას აპირებდე და ჯერ მხოლოდ ერთი კოვზი გქონდეს შესმული — ასეთია ჩემი ეს წერილი ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის ირაკლი ციციშვილის სახელოვანი ცხოვრების მიმართ.

ვლ. თორდუა.

ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ

გიორგი ლეონიძე

საქართველოს სახალხო პოეტი

თავმომწონარი,
სხივმომფინარი
მითხარ ვინ არი,
ტკბილი სახელი,
მისთვის რომ ვარდი შეიკონება?—
შენა ხარ, ჩემი გულის გამსსნელი!
ბედნიერების
მოსაგონებლად...

შეყვარებული
ღმერთს ვეტყვი უარს,
უშენობით კი,
მტვერი ვარ, მტვერი!
და შენს სახეზე
ღიმილი თუა,
მაშინ დამტკბარი
სილაღით ვმღერი!

შენს წმინდა ნათელს
მარად ვეგზნები,
გულში სახმილად
რომ დარხეულა.
აჰა, მიიღე
ჩემი ლექსები,
შემოგაფანტო
ზამბახეულად.

მე დაგითვალე გულში კვირტები,
ყველა ფოთოლზე ლექსი გიწერე.
დიდი ბრძოლებით გამიკვირდები,
გცელეს, სიცოცხლე ვერ
მოგიცელეს!

და დღესაც
შენი მინდორ-ბაღები
მინანქარია,
ყალამქარია.
დგას საქართველო ვარდის
თაღებით,
ზღვაში რომ ნაბიჯგადამდგარია!..

თბილისი, მაისი.

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲗᲝᲡᲘ

ა. ანტონოვსკაია,
ბ. ჩორნი

შემოქმედების ცეცხლით გასხივოსნდა საქართველოს მიწა-წყალზე ციფრი „40“, რომელმაც ჩვენი დღეები დაკავშირა 1921 წლის 25 თებერვლის ისტორიულ დღესთან, როცა საქართველოში აფრიალდა ეპოქის მაღალი დროშა, ლენინის დროშა.

ლეგენდა ამირანზე — პრომეთეზე, შემოქმედების ცეცხლზე და მის წინააღმდეგ ბნელი ძალების ბრძოლაზე არასოდეს არ დავიწყებია ქართველ ხალხს.

ცეცხლი სიცოცხლის სიმბოლოა. იგი მახლობელია ყოველი ქართველისათვის, რადგან მასთან უშუალოდ არის დაკავშირებული დედასამშობლოს ჩაუქრობელი კერის უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა.

მაგრამ საქართველოს ათასწლოვან ისტორიაში ცეცხლი ხშირად გამოუყენებიათ ქართველი ხალხისადმი მტრულ ძალებს როგორც ნგრევის იარაღი, განადგურების იარაღი.

რამდენჯერ გადაუბუგავს ომის ცეცხლს თბილისი — საქართველოს ამაყი გული! რამდენი საუკუნის განმავლობაში ფერფლის სუდარა ფარავდა... საქართველოს მთებსა და ველებს! რამდენი ნაღვლიანი სიმღერა შეუქმნია ქართველის შეძრწუნებულ გულს!

ოქტომბრის დიადმა საათმა საქართველოსთვისაც დაიწყო დროის ახალი სათვალავი. ცეცხლი შემოქმედების იარაღი, შემოქმედების ცეცხლი გახდა. ამ დიდებული ალის ანარეკლს ჩვენ ვხედავთ სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის განხორციელებაში.

პროლეტარიატმა, გლეხობამ და სახალხო ინტელიგენციამ, რომელსაც ხელმძღვანელობს მათი საბრძოლო ავანგარდი — კომუნისტების პარტია, ნახევრადკოლონიური ქვეყანა გადააქციეს აყვავებულ სოციალისტურ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად.

დაე XX საუკუნის ყველაზე მოწინავე იდეების ჩაუქრობელი ცეცხლი განუწყვეტლივ ანათებდეს მომავლის გზას, მომავლისა, რომელსაც უკვე დღეს თავისი შთაგონებული შრომით ქმნის ქართველი ხალხიც.

მოსკოვი, მაისი.

ᲩᲔᲛᲝ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲕ...

დემნა შენგელაია

ქართველი ხალხი ამ ორმოცი წლის წინათ თითქოს ბელადლა დაიბადა, ყოველ წელიწადს მისი მრეწველობა, მისი სოფლის მეურნეობა, მისი ინტელიგენცია არაერთ ნაბიჯს დგამდა წინ და მომავალს ახალ-ახალი გამარჯვებით ეგებებოდა.

ამ ორმოცი წლის განმავლობაში მან განვლო გზა ურმიდან ტრაქტორ-კომბაინამდე, ატომურ რეაქტორამდე.

საქართველოში არ არის არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი. საქართველოში ყოველ ათას კაცზე 38 კაცი მოდის უმაღლესი განათლებით. ამ ორმოცი წლის განმავლობაში ჩვენმა მეცნიერებამ, ჩვენმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ გზა გაიკვლია მთელი მსოფლიოს მკითხველთა გულში, დღეს უშუალო მონაწილეობას იღებს კაცობრიობის წინსვლაში, და ამით დიდი იღიას ოცნებამ ფრთა შეისხა, საბჭოთა ხელისუფლებამ, კომუნისტურმა პარტიამ შეუქმნეს ქართველ ხალხს ყველა პირობა, რომ აღორძინების გზაზე დაეყენებინა თავისი ინდუსტრია, ძირეულად გარდაექმნა სოფლის ცხოვრება, გაენადგურებინა კარს მომდგარი პირსისხლიანი ფაშიზმი, ეშენებინა რუსთავის მეტალურგთა ახალი ქალაქი, შეექმნა ახალი ელმავლები, ავტომობილები... და ამას აკეთებენ გოგია უიშვილის, სამანიშვილის, ოთარაანთ ქვრივის, ვაჟა-ფშაველას გმირთა ჩამომავალნი.

გაქრნენ 1921 წლის ის თებერვლის ბნელ ღამეს გადაკვეთენ უფსკრულში მეფის სატრაპები და მშრომელი ხალხის სისხლისმწოველი ბურჟუაზიული პარტიები. ამ ორმოცი წლის წინ გაზაფხულს პირს დაიბადა მარქსიზმ-ლენინიზმის მაღალი იდეებით გაშუქებული ცხოვრება, დაიბადა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა, და აი ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე ისე გარდაქმნია ჩვენი ცხოვრება, ჩვენი სოფლები და ქალაქები, რომ ვისაც ის ბნელი წარსული ახსოვს, ზეადავს ამას და ზღაპარი ჰგონია, ზღაპარი, რომელიც წარმტაც სინამდვილედ ქცეულა.

ჩვენი მეცნიერები, ინჟინრები იმ შავბნელ დროს სამშობლოში საქმეს რომ ვერ შოულობდნენ, მოდებული იყვნენ მთელი რუსეთის იმპერიას. ჩვენ თითქმის არ გვქონდა რომანი. საბჭოთა სინამდვილემ გრანდიოზული მასშტაბებით განავითარა ეს ჟანრი, არ გვქონდა უნივერსიტეტი, არ გვქონდა ეროვნული ოპერა, არ გვქონდა სამხატვრო აკადემია, არ გვქონდა მეცნიერებათა აკადემია, არ გვქონდა კინო, და ყოველივე ეს ამ ორმოცი წლის მანძილზე შევიძინეთ და ეს კულტურული კერები ახლა მსოფლიო რეზონანსით ეღერენ.

ყოველ ახალ დღეს ახალი გამარჯვებები მოაქვს ჩვენთვის. ჩვენი დღევანდელი დღე ბედნიერია, ჩვენი მომავალი, ხომ ამომავალი მზის შუქით არის განათებული.

ზეიმობს ახალგაზრდობა.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

გუშინ თბილისში კვლავ ჩამოვიდნენ სტუმრები საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავის დღესასწაულზე.

გულთბილად შეხვდნენ თბილისელები მოძმე ყირგიზეთის მშრომელთა წარმომადგენლებს. დელეგაციას მეთაურობს ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ბ. ბეგმატოვი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ჟურნალისტ რაიონის კომპეტენციონა „ჩეკის“ მწყობი რ. სარტიბაევი. ქალაქ ფრუნზეს მაუდის ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ვ. ი. დემენტიევა.

საუბილეო ზეიმზე თბილისს ჩამოვიდნენ ძველი ბოლშევიკები, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის მონაწილენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, მათ შორის მე-11 არმიის პოლკის ყოფილი სამხედრო კომისარი, ახლა პენსიონერი ტ. შ. ტიულინი. მე-20 დივიზიის ყოფილი კომისარი, ამჟამად ლატვიის სამხატვრო აკადემიის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე ა. ა. რაბინეკი, ძველი ბოლშევიკები ა. ტაგი-ზადე, ვ. ე. კაკაბაძე, ი. კ. გველესიანი, მ. ს. კარაპეტიანი, რუსეთის სფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ი. ა. კაიროვი, მწერლები ანა ანტონოვსკაია, ბორის პოლევოი, რასულ გამზატოვი, ირაკლი ანდრონიკოვი, რუსეთის სფსრ და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ცნობილი რეჟისორი ი. მ. თუმანიშვილი და სხვები. (საქდესი).

ᲡᲐᲠᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ— ᲛᲝᲫᲛᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲡᲐᲠᲙᲝᲕᲘ, 10 მაისი. (საქდესი). სატრაქტორო ქარხანამ, რომელიც ქართველი ხალხის შესანიშნავი შვილის სერგო ორჯონიკიძის სახელს ატარებს, ვადაზე ადრე გაუგზავნა მოძმე საქართველოს „დტ-20“ ტიპის თვლიანი ტრაქტორების დიდი პარტია. ახლა საქართველოს ეგზავნება „ტ-75“ მუხლუხა ტრაქტორებიც.

ქარგი შეფასება მიიღო მოძმე რესპუბლიკაში ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტრომექანიკური ქარხნის პროდუქციამაც. შვიდწლედის მესამე წელს ბიეთურის მარგანეცის ტრესტისათვის გრაფიკის გასწრებით დამზადებულია ათობით ელექტროავტომატი და სხვ.

მოზეიმე თბილისი

ამინდსაც იცის ზეიმის გაზიარება. ასეა დღეს საქართველოში, მის ბულში, ბაღარა, მაგრამ მეფდამ ახალგაზრდა თბილისში. გარდობისთვის მზე ოქროსფრად დაჰკაშკაშებს დედაქალაქს, ნაირფრად ასჩეკოსნებს მის შეძოგარეგნს.

მრავალი ჭირისა და ლხინის მნახველ ქართველ ხალხს ბევრი ზეიმი უნახავს, მაგრამ ასეთი კი არაროდეს...

ზეიმობს საქართველოს გული თბილისი თავისუფალი, ახალი ცხოვრების მეორმოცე გაზაფხულს. მხიარულებაა პროსპექტებზე, მოედნებზე, ქუჩებში, ბაღებში, სკვერებში, უბნებში, სახლებში! ალბათ მთაწმინდაზეც აღწევს ეს საზეიმო განწყობილება იქ ხომ თავდადებულ მამულიშვილთა განსასვენებელია, ისინი ხომ ქართლის ჭირზე მოთქვამდნენ, ოცნებობდნენ საქართველოს ბედნიერ მომავალზე; მართლაც, დიდი აკაკისა არ იყოს,

„ამ დღეს ველოდი, მოკვესწარ,
ვიცინი, აღარ ვტირი მე,
ახალგაზრდებო, გამოდით,
გამოდით, თქვენი ჭირიმე“.

დღეს მარტო ჭაბუკები და ქალიშვილები კი არ არიან მოზეიმე თბილისის ქუჩებში გამოფენილნი, არამედ მოხუცებიც, ბავშვებიც... აქ არიან დიდი საბჭოთა ქვეყნის ყველა ეროვნების წარმომადგენლები, სტუმრები უცხოეთიდან. თბილისის მიწაზე მეგობართა „შემოსეკვა“. ისინი ალაფი გულით ულოცავენ თავისუფალ საქართველოს, მის მკვიდრთ, უფრო ბედნიერ მომავალს უსურვებენ ბევრის მომსწრე და ქარტეხილებში გამოწრთობილ ქართველ ერს.

ოდითგანვე აქეს ქართველ ხალხს მრავალთა შორის ერთი შესანიშნავი, კეთილშობილური ტრადიცია. რაგინდ უსაზღვრო იყოს მისი მხიარულება, იგი გულით იხსენებს იმ ადამიანებს, რომლებმაც მამული თავი შესწიროს. ასეა დღესაც. თავისუფალი თბილისის მიწის მკვიდრზე ნათელი სეფტივით აღიმართა ს